

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №762

ქ. ბათუმი, 29 აგვისტო 2016 წ

#### ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დარეგისტრირების შესახებ

ქალაქ ბათუმში ავტობუსის გაჩერების ადგილების მოწყობის მიზნით, ქალაქის ტერიტორიაზე შერჩეული იქნა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესრულდა ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N23-ის მიმდებარედ 6,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N23-ის მოპირდაპირედ მდებარე 6,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N33-ის მიმდებარედ 6,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N69-ის მიმდებარედ 6,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. N33-ის მიმდებარედ 6,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზები. აღნიშნული მიწის ნაკვეთები მიეკუთვნებიან ქუჩის (გზის) ნაწილებს.

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულია „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები.“ ამავე კოდექსის 106-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება არის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელების საფუძველი. ძირითადი ქონების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად.“

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე:

ა) ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N23-ის მიმდებარედ 6,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

ბ) ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N23-ის მოპირდაპირედ მდებარე 6,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

გ) ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N33-ის მიმდებარედ 6,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

დ) ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N69-ის მიმდებარედ 6,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

ე) ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. N33-ის მიმდებარედ 6,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას.

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს (გ. დუმბაძე) საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე).

5. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი №61001010495).

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი